

ბატონ დავით ჭიპაშვილს  
მწვანე ალტერნატივა  
ფალიაშვილის 39ბ, მე-4 სართული  
თბილისი, საქართველო  
ელ.ფოსტა: dchipashvili@greenalt.org

2022 წლის სექტემბერი, ვენა  
ECS-8/19/21-09-2022

## თქვენი საჩივრის პასუხად

ბატონო დავით,

მოგმართავთ თქვენს მიერ 2019 წლის 2 აგვისტოს შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, ევროკავშირის ენერჯეტიკული გაერთიანების სახელმწიფო დახმარების რეგულაციებთან საქართველოს შესაბამისობის თაობაზე, უფრო ზუსტად კი, სახელშეკრულებო ჩარჩოს ფარგლებში, სს „ნენსკრა ჰიდრო“-ს სასარგებლოდ, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების თვალსაზრისით.

როგორც 2019 წლის 16 აგვისტოს წერილით გაცნობეთ, თქვენი საჩივარი სამდივნომ განიხილა ენერგოგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 90(1) მუხლთან მიმართებაში და დაარეგისტრირა როგორც საქმე ECS-8/19.

სამდივნომ გაანალიზა ნენსკრას პროექტზე გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულება ენერჯის შესყიდვის კუთხით და მისი თავსებადობა საბაზრო ეკონომიკის ინვესტორის პრინციპთან. ეს პრინციპი გულისხმობს ნორმალურ საბაზრო პირობებში, სახელმწიფოს ჩართულობის ხარისხის განსაზღვრას სხვა კერძო ინვესტორთან მიმართებით. სამდივნოს წინასწარი დასკვნით, ნენსკრა ჰესის პროექტზე გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულება სს "ნენსკრა ჰიდროს" საბაზრო პრინციპებთან მიმართებაში შერჩევით უპირატესობას ანიჭებს. კერძოდ, ეს ეხება შემსყიდველის (ამ შემთხვევაში, ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი - ESCO) მიერ აღებულ ვალდებულებებს შეიძინოს სრულად გამომუშავებული ენერჯია 36 წლის განმავლობაში ფიქსირებულ ფასად, გადასცეს მიწა სიმბოლურ ფასად და გადასახადებთან დაკავშირებით (დამატებული ღირებულების გადასახადი - დღგ და საშემოსავლო გადასახადი) კომპანიის სასარგებლოდ დაუშვას გამონაკლისები.

2021 წლის 31 ნოემბერს სამდივნომ თქვენთან (მწვანე ალტერნატივასთან) გამართულ შეხვედრაზე, განიხილა აღნიშნული წინასწარი შეფასებები. პროექტი ამჟამად შეჩერებულია, რადგან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ერგბ-EBRD) და ევროპის საინვესტიციო ბანკმა (ესბ-EIB) 214 და 150

მილიონიან დამტკიცებულ სესხებს ხელი არ მოაწერა. 2020 წლის სექტემბერში დადგინდა პროექტის შეუსაბამობები ბანკების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკების მოთხოვნებთან. სამდივნო აგრძელებს საქართველოში ნებისმიერი განახლებადი ენერჯის პროექტების მონიტორინგს, რათა თავიდან იყოს აცილებული სახელმწიფო დახმარების რეგულაციების შეუსაბამობები.

ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე საქართველოს მიერთების შესახებ პროტოკოლის დანართისა და სემეკსა და კონკურენციის სააგენტოში სახელმწიფო დახმარების რეგულაციების აღსრულების მექანიზმის არ არსებობის გამო, სამდივნომ გადაწყვიტა აღარ გაეგრძელებინა აღნიშნული საჩივარი. თუ თქვენ არ ეთანხმებით ამ დასკვნას, გთხოვთ, 2022 წლის 3 ოქტომბრამდე წარმოუდგინეთ სამდივნოს მკაფიო მტკიცებულებები და სამართლებრივი არგუმენტები.

თუ თქვენ, სამდივნოს შეფასების საწინააღმდეგოდ, მიგაჩნიათ, რომ საქართველო არ ასრულებს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას და რომ სამდივნომ არ უნდა შეწყვიტოს აღნიშნული საქმის შემდგომი განხილვა, უფლება გაქვთ, საქმე წარუდგინოთ მუდმივმოქმედ მაღალი დონის ჯგუფს დავის მოგვარების წესების 26(2) მუხლის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საჩივარზე პასუხისმგებელ პირს ელ. ფოსტაზე: [marie-therese.richter@energy-community.org](mailto:marie-therese.richter@energy-community.org) ან +43 1 535 2222 238 ზემოაღნიშნული საქმის ნომრის მითითებით.

პატივისცემით,

დირკ ბუშლე  
დირექტორის მოადგილე/იურიდიული მრჩეველი